ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032411614-03
თარიღი: 25.04.2024 09:32
ვადა: 27.05.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01241153847 განცხადების თარიღი: 24.04.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის 13-35დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032411614-03
25.04.2024 : 09:32
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01241153847**
თარიღი: **24/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.699.790
24 / აპრილი / 2024 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებული იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის ---

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 22/02/2018; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.35.101.016484) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 მუხლს, მე-6 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. სამსახურს ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ექვემდებარება სამსახურის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს. მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) სამსახურის თანამშრომლებისთვის საარქივო მასალების დროული და შეუფერხებელი მიწოდება;

ბ) საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და არქივისათვის გადაცემა (არქივირება);

გ) არქივში დაცული დოკუმენტაციის პერიოდულად დაჯგუფება თემატური კუთვნილების მიხედვით;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;

ე) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

ვ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

8. სამსახურს ჰყავს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ექვემდებარება სამსახურის უფროსს. მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) სამსახურის მასალების ტექნიკური დამუშავება;

ბ) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებისთვის გაგზავნილი/შემოსული წერილების აღრიცხვა;

გ) სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან გადმოგზავნილი მასალების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთვა;

დ) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შედგენილი ოქმების აღრიცხვა/მოწესრიგება და არქივირება;

ე) თბილისის მთავრობის ოქმების და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაგზავნა;

ვ) შეხვედრების ორგანიზება და კოორდინაცია კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) სამსახურის უფროსის ყოველდღიური საქმიანობის კოორდინაცია, თათბირების, ოფიციალური შეხვედრებისა და მიღებების ორგანიზება, დღის წესრიგის დაგეგმვა და განხორციელება;

თ) სამსახურის უფროსის სახელზე შემოსული კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის ორგანიზება, შესაბამისი დავალების მიღების შემთხვევაში, მათზე რეაგირება;

ი) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

კ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.“

გ) მე-7 მუხლის:

გ.ა) მე-6 პუნქტს, „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ¹“ ქვეპუნქტი:

„მ¹) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;“.

გ.ბ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის ---

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 22/02/2018; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.35.101.016484) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 მუხლს, მე-6 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. სამსახურს ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ექვემდებარება სამსახურის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს. მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) სამსახურის თანამშრომლებისთვის საარქივო მასალების დროული და შეუფერხებელი მიწოდება;

ბ) საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და არქივისათვის გადაცემა (არქივირება);

გ) არქივში დაცული დოკუმენტაციის პერიოდულად დაჯგუფება თემატური კუთვნილების მიხედვით;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურში შემოსული კორესპონდენციის განხილვა;

ე) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

ვ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

8. სამსახურს ჰყავს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ექვემდებარება სამსახურის უფროსს. მის უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) სამსახურის მასალების ტექნიკური დამუშავება;

ბ) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებისთვის გაგზავნილი/შემოსული წერილების აღრიცხვა;

გ) სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან გადმოგზავნილი მასალების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთვა;

დ) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შედგენილი ოქმების აღრიცხვა/მოწესრიგება და არქივირება;

ე) თბილისის მთავრობის ოქმების და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად გადაგზავნა;

ვ) შეხვედრების ორგანიზება და კოორდინაცია კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) სამსახურის უფროსის ყოველდღიური საქმიანობის კოორდინაცია, თათბირების, ოფიციალური შეხვედრებისა და მიღებების ორგანიზება, დღის წესრიგის დაგეგმვა და განხორციელება;

თ) სამსახურის უფროსის სახელზე შემოსული კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის ორგანიზება, შესაბამისი დავალების მიღების შემთხვევაში, მათზე რეაგირება;

ი) სამსახურის უფროსის დავალებების შესრულება;

კ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.“

გ) მე-7 მუხლის:

გ.ა) მე-6 პუნქტს, „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ[1]“ ქვეპუნქტი:

„მ[1]) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;“.

გ.ბ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

განკარგულების პროექტის სახით წარმოდგენილია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 06 დეკემბრის №35 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა (შემდგომში - არქიტექტურის სამსახური) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოში სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადასაცემად, საჭიროდ იქნა მიჩნეული რეორგანიზაციის დაწყება.

ზემოაღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომის ოქმის საფუძველზე, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაევალათ საქმისწარმოების ფუნქციების „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადაცემის მიზნით რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2023 წლის 15 დეკემბრის N23.1945.2147 განკარგულებით წინადადება წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N644 განკარგულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არქიტექტურის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2024 წლის Nბ60.01240241 ბრძანებით, რეორგანიზაციის გამო, არქიტექტურის სამსახურში დასაქმებულ პირებს ეცნობათ რეორგანიზაციის პროცესიდან გამომდინარე შესაძლო გათავისუფლების შესახებ.

მითითებული სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძვლებიდან გამომდინარე, კერძოდ, სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადასაცემად, საჭიროდ იქნა მიჩნეული შესაბამისი ცვლილებების განხორციელება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში.

რეორგანიზაციის შედეგად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად, სამსახურს მოაკლდა საქმისწარმოების ფუნქციები და აღნიშნული ფუნქციები გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“. შესაბამისად არქიტექტურის სამსახურში უქმდება საქმისწარმოების განყოფილება.

ამასთან, ცვლილების მიხედვით, განისაზღვრება არქივზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ექვემდებარება სამსახურის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს და საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სტრუქტურულად დაექვემდებარება სამსახურის უფროსს.

წინამდებარე პროექტი, ასევე, ითვალისწინებს ცვლილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა დაევალება იურიდიულ განყოფილებას.

ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.